სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 თებერვალი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/17

,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული, ,,ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/48 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის“ და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის (N81, 23.09.2016წ.) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ <u>ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დანართი №1</u> - ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი და მისი დანართები - ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციებით **(დანართი 1).**

2. დადგენილება და კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების აღსრულების მიზნით:

ა) სასწავლო პროცესის დეპარტამენტს დაევალოს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული პორტალის მომზადებისა და ამოქმედების კოორდინირება;

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს დაევალოს სამეცნიერო პერსონალის ინფორმირება, კონსულტირება და პორტალზე ინფორმაციის ასახვის კოორდინირება;

გ) სამეცნიერო პერსონალს დაევალოს სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის ბსუ-ს ელექტრონულ პორტალზე (**www.portal.bsu.edu.ge/sa**) შევსება 2024 წლის 15 მარტის ჩათვლით;

დ) სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსების მიზნით ასახული თითოეული მონაცემის პასუხიმგებელი პირების მიერ დადასტურება განხორციელდეს არაუგვიანეს 2023 წლის 29 მარტის ჩათვლით;

ე) ასახული და დადასტურებული მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის 2023 წლის შეფასება ბსუ-ს ელექტრონულ პორტალზე (**www.portal.bsu.edu.ge/sa**) აისახოს 2024 წლის 30 მარტის მდგომარეობით.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის N06-01/17 დადგენილების

N1 დანართი

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (შემდეგში - ინსტიტუტი) სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; მეცნიერი თანამშრომელი) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების რეგულაციას და პროცედურას.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის საფუძველზე.

მუხლი 2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (ინსტიტუტი) შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით **პროექტს/პროექტებს** ამ წესის **N1 დანართის** შესაბამისი სტრუქტურით.

2. ინსტიტუტების მიერ შემუშავებული სამეცნიერო-კვლევით პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს ბსუ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

3. თითოეულ სამეცნიერო-კვლევით პროექტს შესაბამისი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო განიხილავს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში (ბსუ-ს ბიუჯეტით შესაბამისი ინსტიტუტისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის გათვალისწინებით) და დასამტკიცებლად წარუდგენს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

4. აკადემიური საბჭო ადგენს წარმოდგენილი პროექტის გახორციელების საჭიროებას და ბსუ-ს მისიასთან შესაბამისობას. აგზავნის ექსპერტიზისათვის გარე შემფასებელთან/შემფასებლებთან, რომლის/რომელთა დასკვნის საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 3. სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო პერსონალისათვის დადგენილი მინიმალური სავალდებულო მოთხოვნებია:

ა) შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ბ) ბსუ-ში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება;

გ) ამ წესით გათვალისწინებული სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულება.

2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდეგში „პროექტი“) ფარგლებში სამეცნიერო პერსონალის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს შეადგენს:

2.1. მთავარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფიის ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფიის (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) გამოქვეყნება ან ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში გამოგონების/პატენტის რეგისტრირება;

ბ) სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა/შემსრულებლად მონაწილეობა;

2.2. მეცნიერი თანამშრომლისათვის:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება;

ბ) საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;

მუხლი 4. სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

1. **სამეცნიერო პერსონალის** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

1.1. Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია ან ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი.

1.2. Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ღონისძიების თეზისები/გამოცემები;

1.3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან საუნივერსიტეტო) მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;

1.4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო

სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა ან სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა ან სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება ან მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება ან საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა ან საექსპერტო/საკოსულტაციო მომსახურება ან სხვა.

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურებია:

2.1. სამეცნიერო პერსონალის მიერ ბსუ-ს ელექტრონულ პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge/sa) სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსება (წინამდებარე წესის **N2 დანართის** შესაბამისად);

2.2. შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების (სამეცნიერო კვლევების სამსახური, ინსტიტუტის დირექტორი, განყოფილების უფროსი) მიერ დასაქმებულის თვითშეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამისი აქტივობის დადასტურება;

2.3. პასუხისმგებელი პირის დადასტურების საფუძველზე, სხვა სამეცნიერო აქტივობის შეფასება (ქულების მინიჭება, რომელიც არ არის დამოკიდებული რაოდენობრივ მაჩვენებელზე):

ა) სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა - 1 ქულა;
ბ) სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა - 1 ქულა;
გ) სამეცნიერო სემინარების ჩატარება - 2 ქულა;
დ) სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა - 2 ქულა;
ე) მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა - 3 ქულა;
ვ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ქულა;
ზ) სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
თ) სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
ი) საექსპერტო მომსახურება - 2 ქულა;
კ) საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა -2 ქულა;
ლ) საექსპერტო/საკოსულტაციო მომსახურება-2 ქულა;
მ) სხვა აქტივობა - 1 ქულა;

2.4. სამეცნიერო აქტივობებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე დასაქმებულის ყოველწლიური საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

2.4.1 შეფასება **„უმაღლესი"** ენიჭება პირს, რომელიც ბოლო ხუთი წლის მონაცემებით აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1/Q2-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ ძირითადი შემსრულებელი ან არის დაფინანსებული სამაგისტრო/სადოქტორო სამეცნიერო საგრანტო პროექტის კონსულტანტი;

დ) მიღებული აქვს არანაკლებ 5 ქულა სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის 2.3. ქვეპუნქტში აღნიშნული აქტივობებიდან);

2.4.2 შეფასება „**მაღალი**“ ენიჭება პირს, რომელიც ბოლო ხუთი წლის მონაცემებით აკმაყოფილებს დასაქმებულის ,,უმაღლესი“ შეფასებისათვის ამავე ქვეპუნქტის **2.4.1**. ქვეპუნქტის **„ა“ ან „გ“** ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნას **ან შემდეგ მოთხოვნებს:**

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი;

დ) მიღებული აქვს არანაკლებ 5 ქულა სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის 2.3. ქვეპუნქტში აღნიშნული აქტივობებიდან);

2.4.3 შეფასება „**კარგი**“ ენიჭება პირს, რომელიც ბოლო ხუთი წლის მონაცემებით აკმაყოფილებს დასაქმებულის ,,მაღალი“ შეფასებისათვის ამავე ქვეპუნქტის **2.4.2.** პუნქტის **„ა“** ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას **ან შემდეგ მოთხოვნებს:**

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) მიღებული აქვს არანაკლებ 5 ქულა სხვა სამეცნიერო აქტივობებში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის 2.3. ქვეპუნქტში აღნიშნული აქტივობებიდან);

2.4.4 შეფასება „**შეფასების გარეშე**“ ენიჭება პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის 2.4.1 ან 2.4.2 ან 2.4.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სამეცნიერო პერსონალის მიერ ელექტრონულ პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge/sa) სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსება უნდა განხორციელდეს ყოველი წლის დეკემბრის თვის ჩათვლით, ხოლო პასუხიმგებელი პირების მიერ პორტალზე ასახული თითოეული მონაცემის დადასტურება - არაუგვიანეს მომდევნო წლის იანვრისა. ასახული და დადასტურებული მონაცემების საფუძველზე პერსონალის საბოლოო ყოველწლიური შეფასება სისტემაში აისახება პირველი თებერვლის

მდგომარეობით. დადგენილი ვადების დაგვიანებით ასახული მონაცემები არ იქნება გათვალისწინებული მიმდინარე წლის საბოლოო შეფასებაში.

4. სამეცნიერო პერსონალის მიერ ელექტრონულ პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge/sa) სამეცნიერო აქტივობის ასახვისა და პასუხიმგებელი პირების მიერ დადასტურებული მონაცემების მონიტორინგის უფლება აქვს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი უზუსტობის დახარვეზება შესაძლებელია მხოლოდ კონსენსუსით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შეიცვალოს დასაქმებულის შეფასება.

მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი და გასატარებელი ღონისძიებები

1. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამ წესით განსაზღვრული შეფასების პროცესს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ერთად კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური და ინფორმაციას წარუდგენს რექტორის მოადგილეს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან ერთად შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს **რეკომენდაციებს** და წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

3. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების საფუძველზე ინსტიტუტის დირექტორი, ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს სამსახურებრივ ბარათს სამეცნიერო პერსონალის მიმართ ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

სამეცნიერო პერსონალის 2023 კალენდარული წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიზნებისათვის ელექტრონულ პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge/sa) სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსება განხორციელდეს 2024 წლის 15 მარტის ჩათვლით, ხოლო პასუხიმგებელი პირების მიერ პორტალზე ასახული თითოეული მონაცემის დადასტურება - არაუგვიანეს 2024 წლის 29 მარტისა. ასახული და დადასტურებული მონაცემების საფუძველზე პერსონალის საბოლოო ყოველწლიური შეფასება სისტემაში აისახოს 2024 წლის 30 მარტის მდგომარეობით.

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის
დანართი 1

სამეცნიერო -კვლევითი პროექტის დასახელება და ხანგრძლივობა: (5 წელი)

1.1. განყოფილება/ პროექტის ხელმძღვანელი

1.2. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვ.

1.3. კვლევის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები;ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვ.

1.4. კვლევის მეთოდოლოგია

აღწერეთ ინოვაციური მიდგომები დაგეგმილ კვლევაში; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის გზები და სხვ.

1.5. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

აღწერეთ პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება კონკრეტული რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, დარგისათვის; ასევე შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები. პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა და სხვ.

1.6. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი

აღწერეთ არსებული, ან პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და აქტივობები.

სამეცნიერო -კვლევითი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

	პროექტის თემების დასახელება წლების მიხედვით	ხელმძღვანელი/ შემსრულებელი	ამოცანები	ამოცანის შესაბამისი აქტივობა	პერიოდი - 6 თვე		ინდიკატორები	წლიური ბიუჯეტი
			1.1.	1.1.1 1.1.2 1.1.3.				
			1.2.	1.2.				
			1.3.	1.3.				
			.....	.....				

დანართი 2

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმა

სამეცნიერო თანამდებობის პირის შეფასების კომპონენტები	თვითშეფასება და დადასტურება	დადასტურებაზე პასუხისმგებელი პირები	შენიშვნა
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
განყოფილების უფროსი განყოფილების უფროსი განყოფილების უფროსი		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური **შეფასების 80%** და მეტი)		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
სხვა სამეცნიერო აქტივობები:			
სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	

სამეცნიერო სემინარების ჩატარება		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
საექსპერტო მომსახურება		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	
სხვა;		ინსტიტუტის დირექტორი	
		განყოფილების უფროსი	